ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 5

27 იანვარი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხულ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის" ვადიან, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემულ ზოგიერთ უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების შეწყვეტისა და ამავე ქონებით შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალის გაზრდაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა კომპანიამ - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ" 18/11/2014 წლის №01/5560 (რეგისტრ. №QN1266976) და 28/11/2014 წლის №QN1269308 განაცხადებით მომართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხულ, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის ვადიან, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული ზოგიერთი უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ბ" და „ე.თ"ქვეპუნქტებისა და 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხულ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის" (ს/კ 202886788)ვადიან, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემულ დანართი 1-ში მითითებულ უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების შეწყვეტასა და დანართი 2-ით გათვალისწინებული უძრავი ქონებით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ 202886788) კაპიტალის გაზრდაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი